თითოეული ნომერი ჟურნალისა ყველგან 10 კ.




№ 28.—1914 ფასი 10 კ. კვირა, 14 ენკენისთვე



**სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი**

გამოჩენილი ქველმოქმედი,—სახალხო სახლის დამფუძნებელი და სხვა საგანმანათლებლო საქმეთა დამხმარე. გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო.



**ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე**

ახალი დირექტორი ქართული გიმნაზიისა

№ 28

## შინაარსი:


1. ავტორმა რაღა დააშავა?! მეთაური 1

2. ლ. ანდრეევი და თეატრი მომავლისა მიწიშვილისა 2

3. პროვინციის სცენა, კოკი ებრალიძისა 3

4. რას უქადის ხელოვნებას მომავალი, (დასასრული) ალ. წერეთლისა 4

5. *** ი. გრიშაშვილისა „

6. სტ. კონ. ზუბალაშვილი, (მოგონება), დავ. გაბრუაშვილისა 5

7. ელეგია (ლექსი), ი. სიხარულიძისა 6

8. ილია ჭავჭავაძე, მ. გედევანიშვილის გამოც. კრიტ. წერ ვას. კოტეტიშვილისა 7

9. შემოდგომა (სურათი), ი. ჯიხაიშელისა 8

10. მგოსანი, ნ. კეცხოველისა 9

11. ცხოვრება (გაგრძელება), ს. გლახაშვილისა 11

12. დედის მკვლელი, (მოთხრობა, გაგრძ.) ევგ. ფურცხვანძისა 14

13. თეატრს ანგრევენ, — წერილ დ. ცხინვალიდან, მოკეთესი 15

17. წვრილი ამბები „

განცხადებანი,



ხვალ, ორშაბათს, 15 სექტემბერს

გამოვა გაზ. „თ ე მ ი“

გრ. დიასამიძის რედაქტორობით

---

**ექიმი ი. გომართელი**

უკვე თბილისს დაბრუნდა. ავადმყოფებს მიიღებს ახალ ბინაზე (ანასტასიევის ქ. № 8, ვერისკენ) დილით 8—11 ს., საღამოთი 5—7 ს.

ტელეფ. 6-33.

---

**თბილისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს,** რომ მას განზრახული აქვს თეატრთან მოაწყოს სპეციალისტების ხელმძღვანელობით

**სამეცადინო პრაქტიკული სტუდია**

ამიტომ იგი იწვევს ქალთა და ვაჟთა, რომელთაც ქართულ სცენაზე მუშაობის სურვილი აქვსთ, ჩაეწერნენ ამ თავითვე გამგეობის კონტორაში. ჩაწერის ვადა დანიშნულია განცხადების დღიდან პირველ სექტემბრამდე. **სწავლა უფასო იქნება.**

პირობების გაგება შეიძლება კონტორაში დღისით 1—3 საათამდე.

წერილობითი განცხადება მისამართის ჩვენებით წარმოდგენილ უნდა იქმნეს დრ. საზ. კანტორაში.

# თეატრი და ცხოვრება

№ 28

წ. II

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება ქარ. დრ. საზ. კანტორაში და „სორაპან"-ს სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Грузинскій Театръ, ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება ქართ. თეატრის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 6—8 ს., ტელეფონი რედაქციისა № 7-9. სტამბისა — 15-41.

№ 28 | კვირა 14 ენკენისთვე | 1914 წ.


## 14 ენკენისთვე

**ავტორმა რაღა დააშავა?**

არ იქმნა და ვერ მოწესრიგდა საავტორო ჯილდოს ზღვევის საქმე,—ჩვენებური ავტორ-მთარგმნელნი მეტად აბუჩად არიან აღებულნი და თითქმის ზედმეტ ბარგად ცნობილნი... ჯილდოს მიღების დროს

ქართულს თეატრში რუსული პიესა რომ დასდგათ, წარმოდგენის საღამოს რუსეთის სათეატრო საზოგადოების აგენტი, უკვე მომზადებული ბარათით, მოვა კასასთან და ვიდრე საავტორო ჯილდოს არ გადუთვლით, ფარდის ახდის ნებას არ მოგცემთ. ასეა ყველგან, მთელ რუსეთშიაც, და ჩვენში კი... არა თუ იმ ღამეს, მთელი ხუთი-ათი თვეობით, ორი-სამი წლობით ატარებენ ავტორს „ხვალ მობძანდიო", „მერეო", ბოლოს იქნება მისცენ, ზოგიერთს-კი დაამუნათებენ კიდეც—„იმისიც მადლობელი იყავი, რომ შენს პიესას ვსდგავთო!" ასეთმა უპატივცემულობამ და სხვისი ნაშრომის აბუჩად აღებამ არა ერთი და ორი ავტორი გააგულცივა, სამუდამოდ თეატრს ჩამოაშორა.

ამ უპატიურობას სამართლიანი გულისწყრომით შეეხო ჩვენი დრამატურგი ნ. შიუკაშვილი („თ. და ც." 1910 წ. № 29), ჩვენც არა ერთ გზის გაგვირკვევია, ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე დრამატურგმა ი. გედევანიშვილმა საგანგებო მოხსენებაც-კი წაიკითხა დრამატურგთა ბედუკუღმართ მდგომარეობის შესახებ, მაგრამ, ვიმეორებ, ვერ იქმნა დღემდე ვერ მოეწყო ეს საქმე.

გვითქვამს და ვიტყვით, რომ წარმოდგენის ირგვლივ მოხურხურე ყველა დარგის მუშა თვის გასამრჯელოს იღებს, ხოლო თვით წარმოდგენის სული და გული კი—პიესის ავტორი—სრულიად არაფერს.

ნუ თუ ავტორთადმი უპატივცემულობა კიდევ გაგრძელდება?!

თუ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოება ისეთი დაწესებულება ანუ საზოგადოება, რომელსაც შეეძლოს ეს საქმე მოაწესრიგოს, თვით დრამ. საზოგადოებათ უნდა ითავონ: თბილისისამ, ქუთაისისამ, ბათუმისამ, ჭიათურისამ და სხ, სადაც კი არსებობს წრე თუ ჯგუფი.

ქართ. დრამ. საზ. გამგეობამ ამ თავითვე უნდა დაადგინოს, რომ საავტორო ჯილდო რამდენიც მიეწყობა—წარმოდგენის ღამესვე გადაეცეს ავტორს, ანუ ცალკე გადიდოს პირველ მოთხოვნილებისამებრ გადასაცემად.

ეს **უნდა ჰქმნას** დრამ. საზ. გამგეობამ, თუ იგი მართლა საზოგადოებისაგან ნდობით აღჭურვილი, საქვეყნო-საგანმანათლებლო დაწესებულების გულწრფელი მესვეურია და დრამატიულ მწერლობის აყვავების მონატრული.

დროა, ღირსეული და შესაფერი პატივით მოვეპყროთ ავტორთ: მათ რაღა დააშავეს, რომ ნაშრომს არ აკუთვნებენ?!

დროა, შევეჩვიოთ სხვათა უფლება-პატივის დაცვას, თუ გვინდა ჩვენც ასევე მოგვეპყრან.



# ლ. ანდრეევი და თეატრი მომავლისა

ლ. ანდრეევი უმთავრესად აზრის მწერალია. აზრი, აზრის აღმაფრენა და მისი ძიება, ამ ძიებისაგან გამოწვეული გრძნობანი, სულიერი და ინტელექტუალური განცდანი — აი რა არის დედა აზრი მისი უკანასკნელი დროის ნაწარმოებისა.

ის **„ანათემა“** სავით ეძიებს კარებს მარადისობისას, მას უნდა „თუნდა ცალი თვალით“, მაგრამ მაინც, დაინახოს, თუ რა ხდება „იქ“, „კარებს“ იქით, რომელსაც ვიღაც უგრძნობელი არსება სდარაჯობს. მას „თავით“ უნდა გაარღვიოს ის **„კედელი“**, რომელიც შეუდრეკელად სდგას ადამიანთა იერიშის წინაშე, რომელიც საუკუნოებით ილებება ადამიანთა სისხლით, მაგრამ ვერვინ აკლებს რამეს, მას ჰსურს ჩასწვდეს, გაიგოს აზრი **„ადამიანის ცხოვრებისა“**, მას, ექიმ კერჟენცევსავით, უყვარს **„აზრი“** — და აღმერთებს მას.

„შავი მუშის უბრალო აზრი — თუ როგორ უნდა დაადო ერთი აგური მეორეზე, — აი უდიდესი სასწაული, აი უღრმესი საიდუმლოებათ“, ამბობს იგი კერჟენცევის პირით.

აი, ამ აზრის კულტმა ლ. ანდრეევს, წელს იტალიაში ყოფნის დროს, გადააკეთებინა პიესად თავისი მოთხრობა „აზრი“.

ეს პიესა წელს მოსკოვის სამხატვრო თეატრმა დასდგა, მაგრამ მიუხედავად საუკეთესო დადგმისა, რომელიც, როგორც მახსოვს, თვით ავტორის ხელმძღვანელობით სწარმოებდა, პიესამ ვერ მოახდინა საჭირო შთაბეჭდილება მსმენელებზე და ბევრმა ძლიერ უარყოფითად შეხედა მას.

მართლა და რა მიზანი ჰქონდა ანდრეევს, რომ „აზრი“ პიესად გადაეკეთა და სცენაზე დასდგა?

ამაზე მისი „წერილები თეატრზე“ გვიპასუხებენ. ამ წერილებში ანდრეევი ჰშლის მკითხველის წინაშე თავის მოსაზრებას დღევანდელ თეატრის შესახებ, მის კრიზისზე და გვიხატავს სურათს, თუ როგორი უნდა იყვეს თეატრი მომავლისა.

დღევანდელი ადამიანის ცხოვრება ძლიერ გართულდა, „ის უფრო ფსიხოლოგიური გახდა“ და თეატრიც ამ ცხოვრების წინსვლას უნდა შეუსაბამოთო. დღეს წინანდელ დრამის მუდმივ გმირებს — შიმშილს და სიყვარულს მიემატა კიდევ ერთი, მათზე არა ნაკლებ ძლიერი — ინტელექტი, და თანამედროვე თეატრის კრიზისი, ერთი მხრით, იმითაც აიხსნება, რომ სცენაზე ძლიერ ბევრი „გარეგნული მოქმედებაა“ არის, ეს მოქმედება დღეს ძლიერ საჭიროდ, აუცილებლად ითვლება, ამ მოქმედებაზე არის დამყარებული დღევანდელი პიესის ღირებულება და მხატვრული ღირსება.

ამავე დროს დღეს სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ ადამიანის აზროვნების ბრძოლას, რომელიც დღეს მის მეორე არსებად გადაიქცა, უყურადღებოდ სტოვებენ აზრის ძიებას და იმ გრძნობებს, რომელნიც ამ დაუსრულებელი ძიებისაგან არიან გამოწვეულნი.

„ნუ თუ საჭიროა დღევანდელ თეატრისთვის მოქმედება იმ დაკანონებული სახით სცენაზე, იმ ფორმით, როგორათაც დღეს აღიარებენ, როგორც საჭიროს და ერთად-ერთს მხსნელს?“ გვეკითხება იგი და თვითონვე უპასუხებს:

— „არა, ცხოვრება დღეს თან და თან ჰშორდება ამ გვარ მოქმედებას, ის ადამიანის სულის სიღრმეში იდგამს ფესვებს, ჩუმად ზის ადამიანის ინტელექტის, ადამიანის აზრის მყუდროებაში; ეს ცხოვრება დღეს ადამიანის ინტელექტუალურ განცდაში გამოიხატებათ“.

ახალი თეატრი, ანდრეევის აზრით, უნდა იყვეს თეატრი „ფსიხოლოგიური პიესისა“, რომელიც ძველი პიესიდან მით განსხვავდება, რომ მასში უმეტესი ადგილი ადამიანის აზრს აქვს დათმობილი, ინტელექტუალურ განცდას.

ეს განცდა, უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია მოქმედებით გამოიხატოს, მაშასადამე საჭიროა სხვა გზით მივუდგეთ ამ საკითხს, რომ მიზანს მივაღწიოთ; ახალი თეატრი უნდა იყვეს ასპარეზი ნიცშეს დრამატიული განცდისა, ეს დრამატიზმი-კი არ გამოიხატება მოქმედებით.

—„სად არის ნიცშეს ცხოვრებაში მოქმედება?—ამას ჩვენ ვერ ვხედავთ; ახალგაზრდობაში, იმ დროს, როცა ნიცშე მოქმედებდა და რაღაცას აკეთებდა გერმანელი ჯარის კაცის ფორმაში,—იგი ნაკლებად იყო დრამატიული; დრამა სწორედ იმ დროიდან იწყება, როცა მის ცხოვრებაში მოქმედების, მოძრაობის მაგივრად კაბინეტის მყუდროება მეფდება. იქ აზრის მტანჯველი ბრძოლა—ძიებაც არის, ვაგნერთან ჩამოშორებაც და მომხიბლავი ზარატუსტრაც.

„და დღევანდელ სცენას ამ დრამატიზმის განცდა არ შეუძლიან, ის უძლურია გადმოგვცეს ჩვენ ეს ინტელექტუალური განცდა მაძიებელ ადამიანისა“

—და ერთის მხრით, განაგრძობს იგი, დღევანდელი კრიზისი, რომელსაც განიცდის თანამედროვე თეატრი, აიხსნება მით, რომ ცხოვრება სულის სიღრმეში, ფსიხიურს და ინტელექტუალურ განცდაში იდგამს ფესვებს, და სცენა-კი ამ განცდის, ამ სულიერ მოძრაობის გარეშე დარჩა.

დღევანდელ ცხოვრებაში, რასაკვირველია, ბევრი მოქმედებაა, მაგრამ ეს მოქმედებანი დღეს თან და თან კარგავს თვის დრამატიულ ღირებულებას.

—„არა სიმშილი, არა სიყვარული, არა პატივმოყვარეობა—აზრი, ადამიანის **აზრი** მისი მისწრაფებით, მისი სიხარულით და ბრძოლით,—აი ვინ არის უმთავრესი გმირი დღევანდელი ცხოვრებისა და მაშასადამე არვის უნდა ექმნეს დათმობილი პირველი ადგილი თანამედროვე დრამაშიაც“.

და რამდენადაც ეს აზრის ბრძოლა—ძიება **მართლად** იქნება გადმოცემული, იმდენად ის იგებს მხატვრულად, იმდენად მეტია მისი ღირებულება. ამიტომაც, როგორც ისმის, ლ. ანდრეევს უნდა დაარსოს სპეციალური თეატრი „პანფსისხე“, რომელშიაც უმთავრესი ადგილი ფსიხოლოგიურ პიესებს დაეთმობა.

აი, ის ახალი, რომელიც ლ. ანდრეევმა თანამედროვე თეატრის ცხოვრებაში შეიტანა და ამ ბოლო დროს თავის დრამატიულ ნაწარმოებებშიაც გაატარა.

**მიწისშვილი**

# პროვინციის სცენა

მართალია ქართულ სცენაზე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა, მაგრამ მოწყობით ჯერჯერობით ვერა მოეწყო რა. არც გასაკვირია: ქართველებს სიტყვის საქმეზე გადატანა რაღაც ნაირად არ ეხერხება!.. ვინც ცოტათი მაინც იცნობს სასცენო ხელოვნების მნიშვნელობას, მას, ეჭვი არ არის, ეცოდინება ხალხის რომელ ნაწილს უნდა ემსახურებოდეს თეატრი: გემოგანვითარებულ ინტელიგენტთა წრეს, რომელიც საზოგადოების უმცირესობას წარმოადგენს, თუ მასსას—დემოკრატიის აუარებელ რიცხვს, რომელსაც შედარებით მცირე წარმოდგენა აქვს დრამისა, ტრაგედიისა და კომედიის შესახებ, მაგრამ მაინც განუზომელია მისი სურვილი—დაეწაფოს წმინდა ხელოვნების ნექტარს. დღეს თეატრს ითხოულობს დემოკრატია. მაშ ჩვენის სცენის მესვეურ-ბელადებმა უმთავრესი ანგარიში უნდა გაუწიონ ამ ბუნებრივ მოვლენას. სად იმყოფება დემოკრატიული ნაწილი, რომელიც დაშორებია ამ სულიერ საზრდოს? რა თქმა უნდა, დაბა-სოფლებში, სადაც წელიწადში ერთხელ თუ ჩაიკლის, ხოლმე რომელიმე ქალაქის დრამატიული დასი წარმოდგენების გასამართავად. ისე კი, მთელი წლის განმავლობაში, პროვინციის სცენა უკიდურეს ნაკლებულებას განიცდის და უხეირო-უვიც სცენის მოყვარეთა სათარეშოდ გადაქცეულა, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში **სცენის მოყვარის** კი არა, უფრო **სცენის მტრის** სახელი შეეფერება.

სამწუხაროდ დღეს ყველას ეძლევა უფლება სცენაზე თამაშისა, თვისი ნიჭის და ტალანტის შეუფასებელ-შეუმოწმებლად, და ამას კი შეუძლია ჩააქროს დემოკრატიის გულში სიყვარული და მისწრაფება თეატრისადმი. ვიცი შემთხვევა, რომ „გაიოზისა“ და „ლევანის„ როლში ხშირად ეთამაშოს ისეთ პირს, რომელსაც არც კი შეუძლია გაარჩიოს დრამა კომედიისაგან და კომედია დრამისაგან. მაგ. სცენაზე ვნახე ერთი პირი გაიოზის როლში, რომელიც „ჯან-ვერდის“ უფრო მოგაგონებდათ. ამითი, რა თქმა უნდა, მსმენელ-მაყურებელს არ შეუძლიან ნამდვილი წარმოდგენა ტიპისა. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროვინციის სცენებს: აეკრძალოს წარმოდგენების მართვა იმ პირთ, რომელთაც საამისო ძალა არ შესწევსთ.

**კოკი ებრალიძე**

# რას უქადის ხელოვნებას მომავალი

(დასასრული.—იხ. ,,თ. და ც''. 22—27)

როგორც დავინახეთ, ხელოვნების მომავლის უარისმყოფელთა არც ერთი მოსაზრება არ არის დასაბუთებული. სრული სიმართლეა, რომ ხელოვნება იცვლება ზნეჩვეულებისა, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებასთან ერთად და ჩვენი დროის ხელოვნებასაც განსაკუთრებით ატყვია ჩვენი საუკუნის იდეური გავლენა. გიოტეს „ფაუსტი", ეს საუკუნეთა ლეგენდა, კაცობრიობის მეორე ბიბლია, ბაირონის შემოქმედება და განსაკუთრებით მისი „კაინი", სადაც აღძრულია საკითხი ქვეყნად ბოროტების წარმოშობისა,*) ლეოპარდისა, მიცკევიჩის და ბარათაშვილის ფილოსოფიური ლექსები, ქანდაკებანი მიქელ ანჯელოსი, ზოგიერთი სიმფონია ბეტჰოვენისა და მრავალი სხვა უკვდავი მხატვრული ქმნილება შემოქმედების იმ აზრებს წარმოადგენს, რომელნიც საუკუნოებით ვითარდებიან კაცობრიობის ცხოვრებაში. და ჭეშმარიტს ხელოვანს ფილოსოფოს ჰერაკლიტესთან ერთად შეუძლიან სთქვას: „მე თითქოს ზეგარდმო შთაგონებით მეტყველი სივილლები ვიყო, რომელთა ხმაც საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობას საღმრთო ჭეშმარიტებას უმეორებსო".

და ხელოვნება მომავალში უფრო დიდ ადგილს დაიჭერს, იგი შეარიგებს პიროვნებას საზოგადოებასთან; იგი ესთეტიური გრძნობათა გამოწვევით გაასკეცებს საუკეთესო მომავლისათვის მებრძოლთა ძალას, თვით ამ მომავლის წარმტაც ფერადებით დაგვისურათებს და ხელს შეუწყობს ქვეყნად ჰარმონიულად განვითარებულ ცხოვრების დამკვიდრებას, ხოლო „სრული და ძალოვანი სიცოცხლე უკვე თავისთავად ესთეტიურია"..**) დაუსრულებელი ძიება ადამიანის სულისა მარადის მოითხოვს მხატვრულ შემოქმედებას, ხოლო კაცობრიობის ცხოვრებაში სამარადისო ღირებულებანი, რომელთა მიმართ უძლურია დროება; ამ ღირებულებათ ეკუთვნის ხელოვნება, რომელიც უკვდავია იმდენად, რამდენადაც თვით ადამის მოდგმა ამ ქვეყნად.

და დათვურ სამსახურს უწევენ ხელოვნებას ყველა ის უნიჭო მწერალნი, რომელნიც თვისი „შემოქმედებით" მის სიდიადეს ამცირებენ. მათ ცნობილ მხატვრის რეპინის სიტყვებით მივმართავ: „**ხელოვნება უმაღლესი საჩუქარია შემოქმედისა და ნუ შევბღალავთ მას**". (ხაზი ჩემია).

**ალ. წერეთელი**

აგარაკი რიყოვი (ხარკ. გუბ.). თიბათვე 1914 წ.

---

* * *

ჩემო! წუხელის, შენი გამოჯავრებული, შენს ნაფეშქაშებელ რაბინდრანათ თაგორეს წიგნს „მებაღეს" ვკითხულობდი და მომეწონა, მომეწონა და... აი, ეს გადაგითარგმნე: ვიწყობ აი—

ჩაჰქრა ლამპარი!
მე მხოლოდ ჩემი სამოსი შემოვახვიე, რომ ქარის ცელქაობისაგან დამეფარა და...
ის კი ჩაჰქრა.
რად?

დასჭკნა ყვავილი!
მე მხოლოდ ხარბად სიყვარულით შევყნოსე, მინდოდა დამეთრო იგი და...
ის კი დასჭკნა.
რად?

გასწყდა სიმი!
მე მხოლოდ ისე ოდნავ გადავჭიმე თარზე;
მინდოდა, რომ უფრო მძლავრი და უფრო კოხტა ხმა ჰქონოდა და..
ის კი გასწყდა.
რად?

დ ჩუმდა წყარო!
მე მხოლოდ ქვითკირით შემოვზღუდე, გალავანი შემოვარტყი, რომ ჩემთვის,—მარტოკა ჩემთვის—ეწანწკარნა, ჩემთვის ემსახურნა, ჩემთვის ემღერა და...
ის კი დაჩუმდა.
რად?

ი. [illegible]

*) ამ საკითხს დეკარტის შემდეგ თეოდიცეას ეძახიან.

**) გიუო. გვ. 56

# სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი

## (1860 – 1904)

(გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო)



### (მოგონება)

ნეტარ-ხსენებული სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილ ს ოჯახის დაახლოვების ბედნიერება მომეცა 1892 წ. იმასთან ყოფნა ხშირად მიხდებოდა, რაც საშუალებას მაძლევდა კარგად გავცნობოდი ამ ანგელოზისებურ ადამიანის ხასიათ-მიმართულებას. ჩემი სუსტი კალამი სავსებით ვერ აღწერს იმის კეთილ საგონებელ მიმართულებასა და მისწრაფებას, რადგანაც ეს კალმით აუწერელია; ამას კი ვიტყვი, რომ იგი იყო სულით მაღალი, ცით ქვეყნად მოვლენილი ადამიანთა საკეთილდღეოდ. ერთი იმისი ნახვა საკმაო იყო, რაც უნდა გულ-დახურული ყოფილიყავით, გულში სიამოვნება გეგრძნოთ: მუდამ სახე უცინოდა. სულ იმის ფიქრში იყო, ხალხისათვის სარგებლობა მოეტანა და ეს ფიქრიც გულს უხარებდა. იმ ს სახლში რომ შესულიყავით, თითქოს კედლებიც კი იცინიანო, თავს ისრე სიამოვნებით ჰგრძნობდით და სიამით ალივსებოდით. ყველას ისე მხიარულად მიიღებდა, წმინდა ქართულის ბრძნულის ლაპარაკით ისე შეაქცევდა ხოლმე, რომ განცვიფრებაში მოჰყავნდა ადამიანი. ბევრი კარგი საქმე მ ხსოვს იმის ცხოვრებიდან, მაგრამ ყველას ვინ მოსთვლის. ერთხელ თავის უმცროს ძმას, იაკობ კონსტანტინეს ძეს ჩემთან ეუბნებოდა: „იცი, ძმაო, რა გითხრა!.. ჩვენ რომ ღმერთი გვაძლევს, ჩვენც ხელ-აშლით უნდა ვიყოთ, რომ ხალხს სარგებლობა მოვუტანოთ, თორემ ზედ რომ კრუხებივით დავასხდეთ, ბევრს ვერაფერს გამოვჩეკავთ: ჩვენთვისაც დაკარგული იქნება და ხალხისათვისაც“-ო.

მე ბევრჯელ გამიგონია ამისთანა მარგალიტი სიტყვები თავის მეორე ძმ.ს—პეტრეს შეს.ხებაც, მაგრამ ყველას აქ არ მოვიყვან.

მამა რომ გარდაეცვალა, როგორც ვიცით, ოთხივე ძმამ ასი ათასი მანეთი გარდასდეს საკულტურო დაწესებულებათა სასარგებლოდ თავიანთ მამის სახელზე.

მეორე დღეს ნეტარხსენებულმა სტეფანემ მკითხა:

— ჩვენ—ძმებმა 100,000 მან. გადავსდეთ ჩვენი მამის სანახსოვროდ, მხოლოდ ის-კი ვერ გადაგვიწყვეტია, რას მოვახმაროთ. შენ რა აზრის იქნები: რა სჯობია, რომ გაკეთდეს?

— მე როგორ შემიძლიან მაგისთანა დიდ საქმეზე პასუხი მოგახსენოთ?

—რატომ, რატომ!.. მე კეთილგონიერ კაცად მიმაჩნიხარ, როგორც მწერალი და კარგი ქართველი შენი სიტყვა ჩემთვის მტკიცე ბეჭედი იქნება.

—მაშ გაგიბედავთ, თუ უმეცრებად არ ჩამომართმევთ.

—სთქვი, სთქვი, ნუ გეფიქრება.

—მოგეხსენებათ, რომ განსვენებულმა როინაშვილმა ქართულ წერა-კითხვის საზოგადოებას რვა-ას თუმნად ღირებული თავის

მუზეუმი დაუტოვა?

—ვიცი, როგორ არა ვიცი... მოსაწონი საქმე ჩაიდინა.

—მხოლოდ, რადგან წ. კ. ს ალაგი არ მოეპოვება, ეს ძვირფასი განძი ერთ კუნჭულში უყრია. ჩემის აზრით, დიდებული საქმე იქნებოდა, ეგ თანხა, ქართულ მუზეუმის შენობისათვის მოგეხმარებინათ.

—მართალია, მაგრამ რადგანაც არ გვინდა, სხვა ერმა ნაციონალისტობაში ჩამოგვართოს, ვფიქრობ ყველა ეროვნებისათვის ერთი რამ აშენდეს, სადაც უფრო მუშა ხალხს შეეძლება სარგებლობა, ე. ი. სახალხო სახლი.

—ეგეც დიდებული საქმეა.

-- მეც აგრე მგონია. . მაშინ ყველა ერის მუშა ხალხს შეძლება მიეცემათ ერთმანეთს უფრო დაუახლოვდნენ და ურთიერთს გაეცვნენ როგორც წარმოდგენებით, ისრე ლექციებით და ბიბლიოთეკით, მხოლოდ, რასაკვირველია, უმთავრესი ხმა ქართველს მიეცემა. გუნებაში მაქვს, ყველა წესიერად მოვმართო და ისრე გარდავსცე ქალაქი გამგეობას, რომ ერთი ნემსი საყიდელი არა ჰქონდეს

—როგორც თქვენა ბრძანებთ, ეგ თანხა არ გეყოფათ!

—ეგ არაფერია, ჩემმა ძმებმა, რაც თავიანთი წილი გადადეს, ისიც, რომ უკან წაიღონ, მე მაინც ავაშენებ. კატა ხომ არ მომიკლავს, სულ ეკლესიები ვაშენო!..

—არა!.. მაგას რათა ბრძანებთ? მე მაგ აზრით არ მომიხსენებია...

—და მაგას რომ მოვრჩები, მერე შეუდგები ქართულ თეატრისა და მუზეუმის აშენებას. მაგისათვის ალაგიც ამორჩეული მაქვს, იცი სადა? --„ლონდონის« სასტუმროს გვერდით რომ ცარიელი ალაგია, იქა ვფიქრობ ავაშენო: ქვეშ მუზეუმი. მაღლა თეატრი. ისეთი შენობა ავაგო, რომ მთელ ქვეყნიერობაზე არ იყოს იმისთანა.

აი, რის გაკეთებას მოველოდით ამ დიდებულ კაცისაგან, რომ ულმობელ სიკვდილს უდროვოდ არ მოესწრო. მის სიკვდილთან ერთად შთაინთქა, როგორც ქართული თეატრის, ისევე მუზეუმის საკუთარ შენობის აგება და აგრედვე ანდერძი, რომლის დაწევრა ვერ მოასწრო, თუმცა კი თავის მოურავ გრიგორევისათვის ბევრჯელ ეთქვა ნოტარიუსის მოყვანა, მაგრამ ეს მოთხოვნა იმას არ შეესრულებინა და ნეტარხსენებულმა სტეფანემ უეცარი სიკვდილით თან წაიღო თავის გულში ნადები, მოსაზრებული და გაუკეთებელი საქმე.

აი, ვინ დავკარგეთ ჩვენ ქართველებმა, აი, ვისი სიკვდილი გვწყვეტავს გულს დღეს—ათის წლის თავზედაც-კი. მაგრამ უსურვოთ დღეგრძელობა მის ძმებს, რომელთაც არა ერთხელ გამოიჩინეს თავი უხვი ქველმოქმედებით და მოსალოდნელია თავიანთი ძმის დარიგებას არ გადაუხვევენ.

**დავით გაბრუაშვილი**

# ელეგია

ველარ გხედავ... სევდის ზღვაში შვების გემი ჩაიძირა,
და მწველ ცრემლებს ისე ვაფრქვევ, როგორც ღამით მზისუმზირა.
ჩემი გული ჩანგი არის, ტრფობის ჩანგი, შენ კი წკირა,
უშენოდ სდუმს, იტანჯება, ვით უმზეოდ მზისუმზირა...
რო ვიცოდე, ისევ მეტრფი, მწამდეს— ბედმა არ გამწირა,
ცრემლს შევიშრობ, თავს ზე ავწევ, ვით ცისკრის ჟამს მზისუმზირა.

რო გნახვიდე— არად ჩავთვლი გულმა შენზე რაც იტირა,
შემდეგ თვალს არ მოგაშორებ, როგორცა მზეს —მზისუმზირა...
ახ, მაკმარე, რაიც ჩემგან ტრფობის ცრემლი შეგეწირა,
უშენობით დნება გული, ვით უმზეოდ მზისუმზირა...
შემიბრალე, სულ ლოდინმა გული დასჭრა, გამიგმირა.
მზევ, ღრუბლებს რად მიეფარე, ვსჭკნები შენი მზისუმზირა!

**ი. სიხარულიძე**

# ილია ჭავჭავაძე

## მ. გედევანიშვილის გამოცემა 1914 წ.

(იხ. „თ. და ც“. № 27)

დიდ, ამ გამოცემის ილუსტრაციამ დამიმტკიცა, რომ ჩვენ ჯერ ვერა ვართ ამ მხრივ მომზადებულნი, ჩვენ არ გვჩვევია ჩვენ მწერალთა ნაწარმოების ფერადებით ხატვა. აბა გადაშალეთ ეს საგანგებო გამოცემა და დაკვირვებით გასინჯეთ ყოველი მათგანი. აი, მაგ. მე 158 გვერდზე ვნახოთ პაწია ილუსტრაცია „დედა და შვილისა“. პირდაპირ თვალში გეცემათ შეუსაბამობა ამ სურათისა პოემის შინაარსთან. პოემაში დედა ავადმყოფია, სნეული, ლოგინში მწოლარე, სურათში კი ჩიხტი-კოპით მოკაზმული, ლეჩაქ-გადაფრიალებული. ეს კი არღვევს სურათის მთლიანობას, დისსონანსის სახით იჭრება, შთაბეჭდილებას აქარწყლებს და არ აძლიერებს. ილუსტრაცია კი, მე მგონია, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად არის მოგონილი. შეუსაბამო ილუსტრაცია რომ არ იყვეს, ისა სჯობიან. ან აბა გადაშალეთ 161 გვ., დააცქერდით პაწია სურათს, როდესაც ბატონი ხელს იღებს მოხუცი ყმის, ზაქროს მამის საცემრად. ზაქრო აქ შეიარაღებული უნდა იდგეს, და ასე უცდიდეს მომენტს. მაშინ შეესაბამებოდა კიდეც ზაქროს სიტყვები: „მაშინ ჩემ თოფმაც დაიგრიალაო„. აქ კი ზაქრო უიარაღოდ არის დახატული, და თოფის მოსატანად სახლში ხომ არ წავიდოდა?.. გადაშალეთ რამდენიმე ფურცელი, და ნახეთ სურათი ამ სათაურით: „მიდის ურემი, და უეცრად ვიღაცამ ტყიდან ასკუპა ცხენიო“. (გვ. 162.) ემ სურათი საუცხოვოდ აქვს დახატული ი. ჭავჭავაძეს, და აქ კი ამ სურათის მხოლოდ დამახინჯებაა. აქ, ცხენის სკუპება კი არა, ზაქროს ცხენი ისე წელ-მოწყვეტილი სდგას, რომ კალოდან გამოშვებულს უფრო ჰგავს, ვიდრე ყაჩაღის ცხენს. თვით ზაქროც ისე დარბაისლური მიმოხვრით ელაპარაკება მეურმეს, რომ გაუგებარი ჰხდება სურათიდან, თუ რაზე დაუბრიალებია ისე ძლიერ თვალები საცოდავ მეურმეს. აქ კი, ყოველ მიმოხვრაში, უნდა სჩანდეს შინაგანი დელვა, ნება, აზრი ზაქროსი, რომელნიც ამოძრავებენ მას და მის შინაგან სტიქიიდან გარედ ილტვიან. მაშინ სურათსაც აზრი მიეცემოდა. ხოლო, რაც შეეხება ფონს, პეიზაჟს, ეს ლამაზად არის შესრულებული. ახლა ვნახოთ კაკო ტყეში, ან როგორც სურათს აწერია: „წამოხტა კაკო ლომივით ზეზე“, —(170 გვ.) ეს წარწერა სიცილს იწვევს. სურათს აწერია—წამოხტაო, და კაკო კი ისე უშნოდ ზის, რომ უმუშტრობისაგან შეწუხებულს შარა-გზის მედუქნეს უფრო ჰგავს, ვიდრე ამაყ ყაჩაღს. აქ სიცოცხლე და მისი ცეცხლი უნდა იყვეს გადმოცემული, ის ცეცხლი, რომელიც ამ ამაყ შვილებს სჩვევიათ. ხოლო ამ პოემის უკანასკნელ სურათში, როდესაც „ორივ წაიდო ერთმა ნადველმა“, სინამდვილე სულ დარღვეულია. აქ ზაქრო გლეხ-ყმას კი არა ჰგავს, ნამდვილი ლევან ხიმშიაშვილია. ისე მოხდენილად არის გამოწყობილი ხავერდის ქულაჯაში, რომ მოგეწონებათ. ვეჭვობ, თუ ჩვენი გლეხები, ბატონ-ყმობის დროს ქულაჯებით დაიარებოდნენ (184 გვ.). რაც შეეხება „განდეგილის“ ილუსტრაციას, აქ მშვენიერია თვით მონასტერი. ლამაზად არის გადმოცემული ქართული მხატვრობა, ფრესკები, ჩუქურთმები, და ყოველი წვრილმანიც კი, ისე რომ მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ აქ, ამ შთაბეჭდილებას არღვევს ბერის სახე. ისე არ ეკედლება ეს ბერი ამ ფონს, როგორც სმოკინგს ხმალ-ხანჯალი. აქ განდეგილი, ტიპიური რუსი ბერია, ნამდვილი სერაფიმე, საროვის საკვირველ-მოქმედი. მას ქართულისა არა სცხია-რა. ვერც მისი მდგომარეობა არის კარგად გადმოცემული. ცუდად არის მოგვერდელავებული—(223 გვ.). ახლა ვნახოთ 230 გვერდზე, სურათი მწყემსი ქალისა „ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედო“. აქ კი ისეთ ვაკეზე არის გაჩერებული, ის პატარა კუზივით ამოსული გორაკი რომ მოვაშოროთ, მეინვარის როლს რომ თამაშობს, ტამბოვის გუბერნიის მინდორი წარმოგიდგებათ, და არა პირქუში მთა. არა უშავს რა სურათს — „და რადაც ძალით, ქალზედ კვლავ დარჩა, თვალი ტყვე-ქმნილი, გაშტერებულიო“ (236 გვ.). კარგი სურათია „გლახის ნაამბობი“—„ამ ალიაქოთში მე და პეპიამ დრო ვიხელთეთ, და გზის გადაღმა, თავქვე დავეშვითო“ .. (გვ. 316) დააკვირდით, რაოდენი სიმამაცე, სითამამე და გულადობა გამოკრთის ამ ცხენოსანთა ყოველ მოძრაობიდან. ეს სურათი მიტომ გამოვიდა კარგი, რომ ზოგადი სახეა, და არა ინდივიდუალურ ერთეულის სახე, შინა-

# ომში იდაჭ-



კორნეტი ლ. თარხნიშვილი



პოდპორ. კონ. სოლ. ჯავრიშვილი



პორუჩ. კონ. არჩ. მალალაშვილი

გან მხარეზე მეტყველი არა უშავს რა სურათს „შემინდევისარა“—(327 გვ.), მაგრამ აბა გადაშალეთ 340 გვ. და ნახეთ ლუარსაბ თათქარიძე, რა საცოდავი სანახავია. ტიკინასავით მოკლე ხელები, რაღაც სასაცილო სურათს წარმოადგენენ. ეს ის კარიკატურა კი არ არის, დიდებულმა ავტორმა რომ დახატა, არა, ეს იმ კარიკატურის კარიკატურაა. არც მე 348 გვ. ნამდვილი ლუარსაბი. თუმც სახის გამომეტყველება აქ სწორედ არის გადმოცემული, მაგრამ ისეა „გამოჩესტილი“, როგორც ნამდვილი თავ-მომწონე და კოხტა თავადი-შვილი. ეს კი „ლუარსაბიზმის“ ღალატია. აქ ნამდვილი მისი პოზა უნდა იყვეს გადმოცემული:—„ლუარსაბიც თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა, და ქოშებით შიშველ ფეხებზე, ხშირად წითელი პერანგის ანაბარა, და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია“ კარგი სურათია ლუარსაბის ოჯახით გამგზავრება თელეთისაკენ. აქ ყველაფერი სწორედ არის გადმოცემული. აქ, სხვათა შორის, კარგად არის გადმოცემული ერთი მომენტი: ბიჭი ფეხით მისდევს ურემს, და ხურჯინიც მხარზე ჰკიდია, თუმც ურემი ამ საპალნესაც თამამად დაიტევდა. მაგრამ აქ ბიჭის თავისუფლად სიარული არ შეიძლებოდა—იგი ყმა იყო, და ტვირთ ქვეშ უნდა ყოფილიყო. სურათშიც ეს მომენტი კარგად არის გადმოცემული —(382).

**ვახ. კოტეტიშვილი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## შემოდგომა



ფრან. მწერ. როსტანი
ომში გასული

სიხარულის ნიავი აღარ ჰქრის, ყველგან სიჩუმეა, ყველგან გოდება შემოდგომის დღე დაღვრემილია... მინდორში აღარ ისმის ხმა მშრომელისა. საღამოს ჟამს, ქოხ მახვბიდან მხოლოდ მწარე ქვითინი მოისმის.

ქოხის წინ ვდგევარ და თვალ-ცრემლიანი გავყურებ სოფელს. მოვედ სოფელში და კვლავ მწადდა მეხილა სიტურფე მისი, მაგრამ ამაოდ: შემოდგომის დღეს სიტურფე თვისი სულ წართმევია, სულ გაჰქრობია... დაღამდა. ცრემლ-მორეულმა მთვარემ ამოანათა, კვლავ სიჩუმეა... იქ-კი ცას სწვდება ადამიანთ ხმა, იქ სიცოცხლესა ელება ბოლო...

აგერ გამოჩნდა მოხუცი ქალი! ვინ არის იგი? რათა ღვრის ცრემლებს?..

— სადა ხარ, შვილო, იქნებ გული გაგიგმირეს?—წამოიძახა და ქოხისკენ წავიდა, ხის ძირს შეჩერდა. . მთვარესაც შერცხვა, მყის მიეფარა ღრუბელთა კრებას... ფეხჩაკეცილი მოხუცი მოსთქვამს, დედა-მიწა-კი ძალზე გამშრალი გაუმაძღარის სისწრაფით

# რილნი ქართველნი



პოდპორ. სიმ. გიორ. რატიშვილი (მოკლული)



კაპიტ. ილ. სუციშვილი




პორუჩ. კონ. გურგენიძე (ორჯელ დაჭრილი)



კორნეტი ნაკაშიძე

სვამს მის ცრემლს, და თითქოს ეუბნება: „კიდევ ბლომად შემიძლია დავლიოო!“

მოხუცი მართლ მოსთქვამს, თანამგრძნობელი არსაიდან უჩანს, მაგრამ აგერ გამოჩნდა ძალზე გამხდარი მისუსტებული კატა, მოხუცს მიუახლოვდა და მორთო მასთან კნავილი გულშემზარავი

მეორე ქოხში ცეცხლის პირს ორი ბავშვი ზის, ორივე ძალზე გამხდარი, ნაცარში ურევენ ჩხირს და დრო-გამოშვებით წამოიძახებენ ხოლმე:

—„გვშიია, გვშ...“ მაგრამ მათ საპასუხოდ იქვე მახლობელ კუთხიდან მოისმის:

— რა ვქნა, უიმე... კაცნი აღარსად სჩანან; რაღაც განგებას შორს გაუტყორცნია იგინი..

მესამე ქოხში მწარე მოთქმაა, რაღაც ამბავი მიიღეს შორით...

გლოვის ხანაა... ქება-დიდებას შემოდგომას ვეღარ მიუძღვნი...

**ი. ჯიხაიშელი**

## მგოსანი

იყო ამ ქვეყნად მგოსანი.

მისი ჩანგის ჟღერა გამოსცემდა უდარდელ ჰანგებს.

თუმცა მგოსანი იგი ხალხის შვილი იყო, მაგრამ ჯერ არ იცოდა რა იყო სევდა. მისი დარდიც და ლხენაც ჯერედ იყო მხოლოდ უდარდელი ჰანგები და ამავ ჰანგებში ადიდებდა ბრწყინავ მზეს, ღამით მოკიაფე მთვარეს და ვარსკვლავებს.

უდარდელი იყო და უზრუნველი.

*
* *

ჟამთა დენას თავისი გააქვს. გავიდა ხანი.

მგოსნის მგრძნობიარე გული დაატყვევა მეფის ასულმა იგი ჰნახა პირველად დიდ მეჯლისში, როს მეფემ მიიწვია მგოსანი, რათა მის მხიარულ ჩანგისა ჟღერით დამტკბარიყვნენ მოლხინენი, რომელნიც შეკრებილიყვნენ მეფის დიდებულ პალატში.

იხილა მეფის მშვენიერი ასული და შეუყვარდა იგი. მეფის ასულის სინაზე, რომელიც ჰგავდა დილით მომაკვდავ გედის უკანასკნელ ჰანგის სინაზეს, მისი თვალნი, რომელნიც გამოიყურებოდნენ იდუმალობით მოცულ გრძნობებით, იგი გიშრის თმა-შემოხვეული, ვით დილის ნისლი მთების მწვერვალებს, შვებასა ჰგვრიდა ჭაბუკს მგოსანსა, სულს უნათლებდა და ამაღლებდა.

იგრძნო გულის სიღრმეში ჯერ უცნობი ტკბილი განცდანი. ახლა მის ჩანგის ჟღერაში აღარ ისმოდა უდარდელი ჰანგნი, მხიარული გამოძახილი, რომელნიც წინად მსმენელს იწვევდნენ უდარდელ დროს სატარებლად, არა, ახლა იგი იყო სხვა ზღაპრულ ნაზ გრძნობებით შეპყრობილი, მასში ვეღარ ისმენდით წინანდელ ჰანგებს.

ახლა ისმოდა სიყვარული, რწმენა, იმედი.

იგი ჩანგის ჟღერით ამაღლებდა სულით და გულით ყველა მსმენელს, აჰყავდა ზეცამდის, აგრძნობინებდა სიყვარულის უცნაურ ძალას, აი°ედლოვნებდა და გულს უსახავდა წმინდა რწმენას. უყვარდა მეფის ასული წმინდა იმედით და ესევე იმედი უღვიძებდა ზეციურ რწმენას. და ყოველივე თავისსა გრძნობას თვის ჩანგის ჟღერაში აქსოვდა.

*
* *

დროს თავისი მიაქვს. გავიდა ხანი.

მგოსანი მიიწვიეს მეფის პალატში. ახლა იქ ქორწილი იყო.

მეფე დღესასწაულებდა თვის ასულის ბედნიერებას. მიიწვიეს მგოსანი, რათა თვის ჩანგზე დაემღერა გრძნობანი ტკბილ სიყვარულისა, ვითარც სიმბოლო ამ დღეობისა.

ეახლა მეფეს მგოსანი ჯერედ სიყვარულისა. მოჰმართა ჩანგი, მიიბრუნა სევდიანმა სახე მშვენიერ ასულისაკენ, ჩამოჰკრა მთრთოლვარე ხელი სიმებს, მაგრამ მის გამოცემულ ხმაში აღარ ისმოდა არც სიყვარული, არც იმედი, აღარც რწმენა და არც თუ განვლილი უდარდელი ჰანგები. ჩამოჰკრა სიმებს ხელი და მის უნებლიედ აკვნესდნენ იგინი, გამოსცეს სევდიანი ჰანგები.

ყველა შეჰკრთა, ყველას მოჰხვდა გულის სიღრმეში იგი უცნაური ხმები, ყველა შეიპყრო მგოსნისვე სევდამ. ჰჟღერდნენ სიმები სევდიანად, ზედვე დაჰმღერდა სევდიან ლექსებს.

მეფე ჩაფიქრდა, სახე მისი მოიცვა ურვამ, მის გულშიც განიღვიძეს სევდის სიტყვებმა, მანაც ამოიკითხა ამ ხმებში განვლილ შორეულ წლების გრძნობანი.

ასე მოჰშორდა მგოსანი პალატს. სევდიანად აჟღერებდა ქნარს და თავის ტანჯვის მოთქმით გადავიდა ქვეყნის ტანჯვა-ვაების მოთქმაზე. არც გამქრალიყო სიყვარული მხურვალ მის გულში, იგი აჟღერებდა სიყვალის ჰანგებს ახლა ყველასას და ყველასთვის, ახლა გადიქცა მთელი მსოფლიო მის სადიდებელ კეკლუც ქალად. იმედიც, რწმენაც მის გულში ახლა სხვა იყო: ჰქონდა იმედი, ჰქონდა რწმენა, ამ ქვეყნად ადრე თუ გვიან მოისპობოდა ტანჯვაც და ოხვრაც.

მოსთქვამდა ასე სევდიანი, სევდის კილოზე.

*
* *

გავიდა ხანი

ერთხელ მგოსანი გამოუსულიყო მარტოდ უდაბნოს. მის გარშემო არავინ ჰსჩანდა, ისმოდა მხოლოდ ჟრუანტლის მომგვრელი ქვემძრომთ სისინი

მოჰშორებოდა იმ ქვეყანას, მოჰშორებოდა ადამიანთ.

მარტოდ იყო და ჰსურდა, ყოველივე დაჰვიწყებოდა.

ჩამოჰკრა სიმებს. აჟღერდნენ იგინი ისევ იმ გრძნობით, როგორაც ჰჟღერდნენ ჭაბუკობის დროს.

შეჰკრთა მგოსანი, არა ჰჯეროდა.

ჩამოჰკრა სიმებს ახლად და შიგ გაისმა ჰანგები დამარხულ სიყვარულისა. გაისმა შორს, შორს და მოეფინა ტიალ ბუნებას- აღარ შეჩერდა მგოსნის ხელი, იგი კვლავ ჰჟღერდა.

— „რად მოიგონე წარსული დრო, სევდის მგოსანო?" მოესმა ხმა ზეციური.

— „გულის ბრალია, მან მოიგონა". — იყო პასუხი სევდის მგოსნისა, ჩამოჰკრა სიმებს და ხელს შემოჰსწყდა, უკანასკნელმა გამოძახილმა გაიხმაურა ტიალ უდაბნოს. ეს იყო უკანასკნელი კვნესა მგოსნისა.

იხილა თვის ჩანგი სიმ-შემომწყდარი, ძირს დაუვარდა, მას დააცქერდა, აღმოჰხდა გმინვა გულის სიღრმიდან და მიაბარა ზეცას სული თვისი.

მხოლოდ უკანასკნელი კვნესა მგოსნის ჩანგისა კვლავ გაისმოდა ხრიოკ უდაბნოს.

**ნ. კეცხოველი**



შესანიშნავი საეკლესიო მგალობელი
**მთავარდიაკონი კ. კარგარეთელი**
(გარდაიცვალა 8 ენკენისთვეს, დაბადებიდან 54 წ.)

# ცხოვრება

## II

იგინივე, **კატო**, **ვანო**.

**კატო**. სწორედ საკმარისად მოვიარეთ. ყავა? აი, ეგ ეხლა კარგია! მეც გამოვიტან; ვანო, შენც გენდომება.

**მაია**. მე მოგართმევთ როგორც მასპინძელი. თქვენ-კი დაისვენეთ (გავა)

**კატო**. ნება თქვენი იყვეს. (გიორგის მიუჯდება) შენ რატომ ეგრე დაღვრემილი ხარ? (ვანოს) აი, აქ, აქ დაჯექ, ყმაწვილო.

**ვანო**. არა, მე ჯერ შევალ...

**კატო** ჰო, საპირფარეშოდ?! (გიორგის) ძალიან კეკლუცი ძმა გყავს; გიორგი! სწორედ მიკვირს როგორი შენი ძმა არის, ეს ასე გადაჭარბებული, შენ-კი ..

**ვანო**. (გასვლისას) ჩვენ მხოლოდ მამითა ვართ ძმები.

**გიორ**. ეგ ხშირად ხდება...

**კატო**. გიორგი!.. რათა ხარ ეგრე?

**გიორ**. —ბუნება მოქმედობს ჩემზე.

**კატო**. მაგრამ, ახლა რომ მეტად ნათელია? ნისლიც არსად სჩან.

**გიორ**. მალე მოიღრუბლება. ნისლიც ზე დაეშვება ჩემს მშობელ მთებსა...

**კატო**. რომ გიმტყუნოს წინადგრძნობამა?

**გიორ**. შემთხვევა არა მქონია ჩემს ცხოვრებაში.

**კატო**. კარგი და ვნახოთ . მერე და არა სჯობიან გავასწროთ მაგ ნისლსა და ღრუბელს?..

**გიორ**. მერე, სად, სად ასცდება ადამიანს ღრუბელი?

**კატო**. შვეიცარიაში; კმარა აქ ყოფნა.

**გიორ**. მოგწყინდა?.. როდის აპირობ?

**კატო** (გააჯავრებს). „მოგწყინდა“? „როდის მიდიხარ?“ არა შენ როდისღა აპირობ?

**გიორ**. მე?!...

**კატო** (გააჯავრებს) „მე?!..“ სწორედ გითხრა, ამდენმა ლოდინმა გამაჯერა. .

**გიორ**. იქნება მაგისათვის ჩამოხველ, რომ ეგ გეცნობებინა?

**კატო**. მართალი გითხრა? აი, ჩამოველ იმისთვის, რომ გამეგო: უცოლო ხარ და არ მატყუებ? ამასთანავე შენი პასუხიც გამეგო: ჰო! თუ არა? .. თუ არა, მაშინ..

**გიორ**. მაშ, არა გყვარებივარ!..

**კატო**. კიდევ! ეჭვები? ეს იცოდე, გიორგი, ეჭვიანი კაცები მძულს! გესმის, მეჯავრებიან!.. მე მინდა ქმარი ვაჟკაცი, ლამაზი, რიხიანი, მძლავრი, ვითა არწივი, რომ ყოველთვის კლანჭებში ვყვანდე და თავის ნებაზე მაფრენდეს. ქმარი ცოლზე გავლენიანი უნდა იყვეს; თუმცა ეხლა ზოგიერთ ჩვენ ფრაზიოლოგ ქალების წინააღმდეგია, მაგრამ რა უყოთ, რომ მე ბუნებამ ასე მშვა; მე თაყვანსა ვცემ ვაჟკაცობასა.

**გიორ**. მერე, მე..

**კატო**. რა, მე? ახლა ქათინაურები მომთხოვე. შენ ეგ შეგიძლიან, თუმცა ერთი ნაკლი გაქვს.

**გიორ**. მაგალითად?

**კატო**. სითამამე გაკლია, აი, რაც შენს ძმას ვანოს აქვს!

**გიორ**. ჩემს ძმასა?!...

**კატო**. შენ, რომ სითამამე არ გაკლდეს.. მაგრამ, იცი კიდევ რა გაკლია?

**გიორ**. (ფარულ მღელვარებით)—რა? .

**კატო** ალერსი არ გიყვარს ..

**გიორ**. მაგრამ ჩვენ...

**კატო** დიაღ, მართალია ჯვარ დაუწე-

რელნი ვართ, მაგრამა... აგერ, რამდენი წელიწადია ვიცნობთ ერთმანეთს, ვით დანიშნულნი, შენობითაც-კი ვლაპარაკობთ და ერთხელაც არ მოგსვლია სურვილი კოცნისა..

**გიორ** კატო..

**კატო.** რა, კატო?... აგერ სამი დღეა აქა ვარ და ისე მექცევი, ვით საზღაპრო გმირი მოტაცებულ ქალსა თავის მოძმისათვისა... ამით, მე მგონია, შენ არ გიყვარვარ.

**გიორ.** (ხელებს მოჰკიდებს) მიყვარხარ, კატო..

**კატო** (გააწყვეტინებს გაჯავრებით) „მიყვარხარ“.. მარტო სიტყვები? .

**გიორ.** მიყვარხარ, კატო, მაგრამ...

**კატო.** მაგრამ?

**გიორ** აქაურობას თავს ვერ გავანებებ..

**კატო.** მაშ, შენ სამშობლო მხარე მეტად გყვარებია ჩემზე.

**გიორ.** აი, ჩემო კატო, კიდეც ეგ მაბრკოლებს, რომ ჩემი სამშობლო შენს მეტოქედ მიგაჩნია. შესაძლოა შემდეგ შეგძულდეს... შეგძულდეს ის, რაც მე მასულდგმულებს და მაცხოვრებს. (მაჩვენებს) აგერ, აი, იქ, ამ გზატკეცილის პ-რის კლდეზე, საყდარია, მის გარს კლდეებია კოშკის მგზავსისა...

**კატო.** ეგ ჩვენშიაც ხშირია...

**გიორ.** არა, ჩემო კატო! საქართველოს ეკლესია და თვით ხალხი, სხვებთან შედარებით, სულ სხვა პირობებში იმყოფებოდა. იგი ჯვარით ხელში რამდენიმე საუკუნე გარს შემოხვეულ მტრებს იგერიებდა, ვითა დარაჯი რუსეთ-სა და ევროპის კარში მდგომი, სისხლსა ღვრიდა. ისეთი ხანაც ჰქონდა, მაგალითად თვით ძლიერ და ბრწყინვალე თამარის დროსა, როდესაც საქართველო აძლიერებდა ქრისტიანობას თავისებურ კაცობრიულ კულტურით. იქ, სადაც სცხოვრობდნენ მოუსვენარნი ლეკნი, ამა ეკლესიის მამა-ბერები ავრცელებდნენ ქრისტიანობას, ხოლო აქ მონასტერში ქართველ ახალ თაობას მეცნიერებას უნერგავდნენ. მაგრამ დროთა უკუღმა ბრუნვამ და გაუტანლობამ ჩააყენა საქართველო..

**კატო.** რომ რუსეთს შველას ევედრებოდნენ.

**გიორ.** მეგობრობას... ამას თვით საბუთიც ღაღადებს... რაც საჭირო იყო რუსეთისათვის. ვალდებულებიც იყვნენ, როგორც კარი მათთვის შეუვალი ყოფილიყო.

**კატო.** ვთქვათ... მაგრამ ეგ ყოველივე იყო და დღეს-კი სულ სხვაა. შენთვის ეგ ძველი ცხოვრება გამქრალია. ახლა-კი დღევანდებულად ვიცხოვროთ.

**გიორ.** არა, ჩემო კატო, ჩემთვის გამქრალი არა არის რა; წარსულსა თვით ქვანიც-კი ღაღადებენ და მე ხომ ადამიანი, ამ არე-მარის შვილი ვარ? აი, მამაჩემი გარდაცვლილია, იმ ეკლესიის გალავანში ასაფლავია, ხოლო მისი სული ჩემშია და მით განუყრელია. ვისაც წარსული არ ახსოვდება, მას მომავალიც არ ეთვალისწინება... ჩემი წარსული, აი, ამ მთებშია. მე თანა შეზრდილი ვარ ყოველ ამ ხესთან, ჩემი ყმაწვილობა აქ გამიტარებია. ყოველი კუთხე მე და მამაჩემსა ისე გვქონდა შესწავლილი, ვით ხელებზე თითები. ამათი საზრდო ჩემი საზრდოა ცხოვრებისა. უამათოდ სანამ აქ დავბრუნდებოდი, გახსოვს ავად ვიყავი. არა, ჩემო კატო, აქ დავიბადე, აქ აღვიზარდე, აქვე უნდა დავლიო დღენი ჩემი ცხოვრებისა.

**კატო.** (გამოცვლებს) სწორედ მიკვირს: აქ მთებში ხომ გამოყრუვდი? შენ ექიმი ხარ, უნდა თვალ-ყური ადევნო ყოველ მეცნიერებას და ახალი რაიმე გამოკვლევა-ცოდნა შეიძინო. აბა, მითხარი, აქ რა საზოგადოებაა, რომ გაერთო?

**გიორ.** ცხოვრებაში გართობა-კი არა, მუშაობა, შრომაა საჭირო.

**კატო.** მაგრამ, განათლებისათვის საჭიროა იმავე განათლებულ წრეში ყოფნა.

**გიორ.** აქ არის, და სწორედ ისეთი წრე, სადაც მე უფრო საჭირო ვარ,

**კატო.** მაგრამ შენ ამ გლეხთა წრეში სრულიად გაველურდები,

**გიორ.** ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ რა თვალსაზრისით უყურებს.

## III

იგინივე **მაია, ვანო.**

**მაია.** (შემოაქვს ფინჯნით ყავა) ბოდიში. გაციებულიყო; ხელ ახლა მომიხდა გაცხელება.

**კატო.** ვანოსა? ნება მიბოძეთ მე გამოუტანო.

**ვანო.** ნუ შესწუხდებით. მე უკვე რძე გიახელით.

**კატო.** რძე?

**ვანო.** დიაღ, მე საშინლად მიყვარს საღამოს მოწველილი და აუდუღარი.

**კატო.** აბა, ვანო, შენ რა აზრისა ხარ?

**ვანო.** რის შესახებ?

**კატო.** გიორგის ვეუბნები: შენთვის, როგორც განათლებულ კაცისთვის, ქალაქ ადგილის ყოფნა აუცილებელია მეთქი.

**ვანო.** მეც მაგას ვეუბნები, მაგრამ .

**გიორ.** განათლებული სწორედ აქ არის საჭირო თავის განათლებითა ..

**კატო.** აი, დიდედო, მე ვურჩევ გიორგის: ჯვარი დავიწეროთ, წავიდეთ შვეიცარიაში და შემდეგ დავბინავდეთ მოსკოვში, ანდა პეტერბურგში მეთქი, მაგრამ ჯიუტობს. მე აქ მინდა ცხოვრებაო. აქ კარგია, ერთი ან ორი კვირა; მეტი-კი განათლებულისათვის სწორედ ციხეა აგერ, სამი დღეა აქ ვარ და, სწორედ გითხრათ, მომბეზრდა.

**მაია.** ეგ იმაზეა დამოკიდებული: ვის სად ჩამოუვარდება გული ხოლო რაც შეეხება ცოლ-ქამრსა, თუ იმათ ერთმანეთი უყვართ, ჩიტის ბუდეშიაც მოთავსდებიან.

**კატო.** ჩიტის ბუდეში?!...

**გიორ.** დიაღ, ჩიტის ბუდეში; აი, რას ამბობს ხალხის სიბრძნე.

**ვანო.** (კატოს) თქვენ შვეიცარიაში სამოგზაუროდ მიბრძანდებით?

**კატო.** თითქმის; უფრო-კი საქმისათვის

**გიორ.** რა საქმე გაქვს?

**კატო.** აკი მოგწერევი?! დედიჩემის ანდერძით უნდა ჩავიბარო დატოვებული ქონება.

**ვანო.** ნეტავი თქვენა...

**კატო.** რა: ქონება თუ შვეიცარიაში მოგზაურობა?

**ვანო.** ქონება?!. რა საჭიროა ქონება!.. მაგრამ ერთიც კარგია და მეორეცა...

**კატო.** რა, შვეიცარიაში არა ყოფილხართ?

**ვანო.** არ მქონია შემთხვევა.

**კატო.** რო მოგეცეთ შემთხვევა?

**ვანო.** სიამოვნებით გავემგზავრებოდი.

**კატო.** ძალიან კარგი. მე აგისრულებთ გულის წადილსა. გიორგი მაინც არ მომდევს; ხოლო მე-კი იქ ქონების მისაღებად ვაჟკაცი მჭირია, რაშიაც თქვენ გამომადგებით.

**მაია.** (თავისთვის) ფერი ფერსა — მადლი ღმერთსაო.

**გიორ.** მაგრამ ვანოს იქ წამოსვლისათვის დრო არ ექნება...

**ვანო.** დრო კი მაქვს, მაგრამა...

**გიორ.** შენ იქ ვერ წახვალ...

**კატო.** თუ-კი დრო აქვს, შენ რატომ უშლი?

**ვანო.** არ ვიცი, ღმერთმანი! სწორედ მიკვირს. გუშინ წინ მირჩევდი წასვლას აქედან...

**გიორ.** არა შვეიცარიაში..

**კატო.** (თავისთვის) იქნებ ამით მაინც დავიყოლიო და წამომყვეს... (გიორგის) საკვირველი ხარ, გიორგი! შენ არ მომდევ, არც ძმას უშვებ; მე-კი მარტო წასვლა არ მინდა.

**გიორ.** ვანო ვერ გამოგყვება...

**კატო.** მაშ შენ წამოდი?..

**ვანო.** მე აქ არ დავრჩები და წასვლით, რა თქმა უნდა, შვეიცარიაში ვერა, რადგან ხარჯი..

**კატო.** ფულს მე გავიღებ .. რასაკვირველია სესხად: როცა სწავლას დაამთავრებ .. აიღებ და დამიბრუნებ...

**ვანო.** მაგას რა თქმა უნდა.

**კატო.** იქიდან პეტერბურგს დავბრუნდებით. . მანამდე-კი გიორგი აქ იფიქრებს და მაცნობებს. .

**გიორ.** ვანო ვერ წამოგყვება...

**ვანო.** მე თავისუფალი ვარ. . საითაც მინდა იქით წავალ . .

**კატო.** ყოჩაღ... აი, მომწონს ესეთი ყმაწვილი... (მივა და ხელს გაუწოდებს ვანოსა) აბა, წავიდეთ, ვანო, ბილეთი ავიღოთ ხვალისათვისა თბილისამდე..

**ვანო.** მზათა ვარ...

**გიორ.** (წინ გადუდგება) მე!.. მე...

## IV

იგინივე, **ლანდი, სესია**.

**მაია**. შვილო, გიორგი!...

**ლანდი**. (ვანოს და კატოს უკან დაუდგე-ბა მთვარისა შუქით მოფენილი. კატო და ვანო ხელ გაყრილები არიან. შემოდის სესია. გიორ-გი რა წასდგამს ნაბიჯს მათკენ, შეამჩნევს ლანდს, რომელიც ერთი ხელით ანიშნებს გიორგის შეჩერებას, ხოლო მეორით წასვლას ვანოსა და კატოსა)

**სესია** არიქა, გიორგი, შენი კვნესა მე! მოეშველე დათიასა.

**მაია**. რა დაემართა...

**სეს**. რა ვიცი, შენი კვნესა მე, ი ქალაი ნუნუს ლანდი წარმოსდგომია... წასწვდენია და კლდეზე ფეხი დასცდენია ,.

**მაია**. მერე, ძალიან არის დაშავებული...

**სეს**. გვერდსა იტკიებს, შენი კვნესა მე...

**გიორ**. — (გაშტერებით უყურებს ლანდსა, რომელიც ახლა სესიასკენ უთითებს და თანდათან ჰქრება. თავზე ხელის მოსმით) მესმის მამაჩემო. . ჩემის გონების კვალო, . დიდედო, ჩანთა!..

**ფარდა**



# დედის მკვლელი

(იხ. „თ. და ც." № 26)

სოფრომა, რომელსაც ყაჩაღები ელოდ-ნენ, ყაჩაღად გავარდნამდის სოფელ მ—რის უღარიბესი გლეხი იყო, არსებისათვის მებრ-ძოლი მუშა, ხნით ახალგაზრდა, ტანად მაღა-ლი, წვრილი და მოყვანილი. მისი სახის გა-მომეტყველება ამტკიცებდა, რომ მუდმივ შრომასა და წვალებას გაეტეხნა: ლოყები ჩამომხმარი ჰქონდა, სიცხისაგან დამწვარი კა-ნით, თვალები ძალზე ჩამქრალ-ჩაბნელებული, მაგრამ მკვირცხლი, თავზე შავი თმა აბურ-ძგნული, ხელები დაკოჟრებული, რომელიც საწყალ გლეხს შრომის მოყვარეობას უმტკი-ცებდა; ტანზე მრავალსაკერებლიანი შავი ახალუხი, რომელიც მუშაობისას ოფლს ისე გაეჭერქებინა, თითქო ტყავი აცვიაო. შევნე-ბითაც წინ იდგა. სოფლის სამრევლო სკოლა დამთავრებული ჰქონდა და, რაც ღარიბ გლე-ხისათვის საჭირო იყო, კარგად იცოდა. ამ პატარა ცოდნასთან მას თავის მრავალტან-ჯული ცხოვრების გამოცდილებაც ხელს უწ-ყობდა, მაგრამ ზედიზედ მომდგარმა უბედურებამ გატეხა: ხუთი წლის განმავლობაში ორი წყება ცოლ-შვილი შავ-მიწას მიაბარა; ერთი წლის წინად მამა გარდაეცვალა; თუ რამე გააჩნდა მამის შეძენილი, ან თავის ოფლით ნაშრომი: სახლ-კარი, მიწა-წყალი, ავადმყოფების მოვ-ლისა და ბოლოს მათ დასაფლავებას მოან-დომა: ეს საწირავიო, ეს ორმოციო, სულის ახსნაო, წლის თავიო (ალაპი) და ამდენ ჭირ-გამოვლილს დარჩა მხოლოდ ერთი ნაჭერი მიწა, სადაც ჩადგა პატარა თხემლის წნელე-ბით მოწნული ფაცხა, მიწა-ტალახით შელესა, სახურავი ჩალით დახურა და აგრე დაიწყო ცხოვრება.

მას შინ მოხუცებული დედა ჰყავდა, მაია, რომელიც ძალზე დასუსტებული იყო. თუმცა ღარიბ ქოხში მარტო ორნი - დედა-შვილნი იყვნენ, მაგრამ მათაც საცხოვრებე-ლი უნდოდა, ამდენი ავის მნახველ სოფრო-მას ცხოვრების სახსარი აღარაფერი მოეპო-ებოდა, და დიდ სასოწარკვეთილებას განიც-დიდა. ზევრჯერ თავის მოკვლაც დააპირა: რად გამოვედი ასე უბედური, რომ აღარა-ფერი შემრჩაო, მაგრამ თავს იმით ინუგე-შებდა, რომ ჯერ კიდევ ახალგაზდა ვარ და ცხოვრებას მოვეწევიო. რადგან შინ საკუ-თარი სამუშაო არა ჰქონდა, სოფელ-სოფელ დადიოდა დღიურ მუშად. ხშირად ქალაქშიაც ჩამოდიოდა სამუშაოდ, უფრო ზამთრობით, ვინაიდან ზაფხულობით სოფელშიაც ბევრი საქმე იშოვებოდა; დღიურ ნაშრომიდან გა-დარჩენილ ფულს დედას მიაშველებდა ხოლმე. ნამუშავარის ჯილდოდ ხშირად ფულის მა-გივრად ღებულობდა ფქვილს, ღომს, სი-მინდს, ლობიოს და სხვ.: სულ ერთიაო, ამბობდა თავისთვის: ესენი მაინც საყიდელი მაქვს და გინდ ფული ამიღია, გინდ სარჩო-საკვებიო. თითქმის სამ-ოთხ წლამდის აგრე წოწვა-ღოღვით გამოჰყავდა თავისი თავი და დედა. მაგრამ რაკი ხანში შევიდა და თავის გულში ჩაიხედა, სულ სხვა აზრზე დადგა:

—„არა ეს სულ სხვისი და სხვისი, ჩემი როდის-ღა იქნება? სულ სხვისას ვაკეთებ, სხვისას ვმუშაობ, სხვის ცხოვრებას ვაუმჯობესებ და მე როდის უნდა მოვესწრო რამესო? მარტო მუცლის გასაძღომი! რასაც ვშოულობ—ვჭამ და ხვალისთვის რაღა მრჩება? ღმერთმა ნუ ჰქნას და ავად რო გავხდე, ვინ მომხედავს მე, ან დედაჩემს?! რა არი ჩემი ცხოვრება? ჩემსავით ხომ ღორებიც ცხოვრობენ!“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ევ. ფურცხვანიძე

# თეატრს ანგრევენ

**წერილი დ. ცხინვალიდან**

„ჩვენი ხსნა სოფელშია“, ამბობენ და არც ცდებიან სოფელს ჩამოეხსნება უმეცრების ფარდა, თავს დააღწევს შეუგნებლობის კირთებს და ერის ძლიერებაც განმტკიცდება...

... და სოფლის შემეცნება-განვითარებისათვის ერთი უმნიშვნელოეს საშუალებათაგანი— თეატრია.

დ. ცხინვალის საზოგადოებამაც, როგორც ვსწერდით, ააშენა თეატრი, სადაც ქვეყნის საჭიროების შეცნობა სურს. მაგრამ, შეხეთ უსჯულოებას, სოფლის „მესვეურთ“ რა განუზრახავთ: „დავანგრიოთ თეატრი და ახალი გეგმით ავაშენოთო“.

ვინც დ. ცხინვალის საქმეებში ჩახედული არ არის, ასეთ აზრს სიამოვნებით გაიზიარებს, მაგრამ აზრი შემცდარია და, აი, რად:

არსებული თეატრის აშენებამ ისეთი ვაივაგლახი, ისეთი გაკვანწლია და უმეცართაგან ლანძღვა გამოიწვია, რომ მეორედ მოსვლას მოაგონებდათ. და რომ ახლა ეს თეატრი დაინგრეს, ცხადზედ უცხადესია, ახალი თეატრის აშენების საქმე მამა-პაპათა სავანეში ჩასვენდება, ახალ თეატრს ხუთ-ექვს წელიწადს ვეღარ ვეღირსებით. აქამომდე გამოღებული ნაყოფი გახმება, მცხოვრებთაც უიმედობას გაუასკეცებს და თავის წვლილს სიხარულით ვერ გამოატანინებს. და განა რა შეუძლია ისედაც ცხოვრება დაკნინებულ სოფელს, რომ ერთხელ ნაშრომი მეორედ ასაშენებელი გაუხადო!?.

არა, ბატონებო, ვერ მოგვატყუებთ, საქმე ცხადია. გინდ სახრჩობელის ღირსი გავხდე, აშკარად ვაღიარებ, რომ ეს განზრახვა ეროვნული მცდლია, ეს კეთილი განზრახვის ფარგლებში ჩასმული ბოროტებაა. მესვეურნო, თქვენა გსურთ სასოფლო თეატრი დაანგრიოთ. თქვენ კარგად იცით ახალად თეატრის აშენების სიძნელე, გსურთ ისარგებლოთ შემთხვევით და თქვენს, სომხურ სკოლაში გამართულ პატარა სცენაზე ფერხული ჩაბათ ..

შესცდით...

საზოგადოება გამოფხიზლდა, მტერ-მოყვარენი გაანსჯგრიტა, ყოველივე ცხადყოფილია, თავის ოფლით აგებულ თეატრს არ დაგანგრევინებთ, არა .. ან რა საჭიროს დასანგრევი?!. თქვენ თუ კეთილმზრუნველნი ხართ, შეაკოხტავეთ, შეავსეთ რეკვიზიტი და ბუტაფორია, შეიძინეთ კიდევ ახალი დეკორაციები და ამით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანთ. განივლის ხანი, თანხა ხელში გექნებათ და მერე თუნდ ციხე-დარბაზები აგეთ. მანამდის კი თეატრის კედლებს არ შეახოთ ხელი, მაგ თქვენი „კეთილ განზრახვით“ ძირს არ დაამხოთ თეატრის ბჭენი; ხელი ჩაჰკიდეთ მშრომელ, ღარიბ ხალხს, იზრუნეთ მისთვის, თორემ საზოგადოებას სათანადო მსჯავრს დაგდებთ და მაშინ ვაი მტყუანთ!

მოკეთე

# წვრილი ამბები

## სამშობლოში

◆ **ქართული დრამ. დასი** ყოველ დღე დილა-საღამობით მუშაობს და რამდენიმე პიესას ამზადებს. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მხატვრულ მხარეს. მზადდება დეკორაციები, ტანისამოსები და შესაფერი მუსიკა,

◆ **ქუთაისის დასი** სრულიად შეიკრიბა და მეცადინეობას შეუდგა სეზონი დაიწყება 18 ენკენ. ,,ლალატი‘‘-თ.

◆ **ა. შანშიაშვილის** ახალ პიესას ,,ივერიკოს“ მ. ქორელი დასდგამს.

◆ **ალ. წუწუნავა**, რომელიც ერთი კვირა ავადმყოფობდა, უკვე მომჯობინდა და საქმეს დაუბრუნდა.

◆ **ახალ დეკორაციებისა და ტანისამოსების** ესკიზებს ჰხატავს გ. კ. ერისთავი, რომელიც ამ ჟამად ალ. შანშიაშვილის „ივერიკოსა“ და შ. შარაშიძის „ავგაროზს“ ასურათებს. ყოველივე ქართული სტილით იხატება.

◆ **სახალხო სახლში** ქართ. წარმოდ. სეზონი წრის მიერ დაიწყება 20 ენკენისთვეს. დაიდგმის იუშკევიჩის „მეფე“. მეორე წარმოდგენა – 26 ენკენ.—

„დამნაშავეა?“ რეპეტეციები უკვე დაიწყო. რეჟისორად მოწვეულია კ. შათირიშვილი, მის თანაშ. ა. ბად რიძე.

✦ **ვალ. გუნია** გასულ კვირას თბილისს ჩამოვიდა სათეატრო საქმეთა გამო. დღეს ქუთაისს მიდის.

✦ **ნაძალადევის სეზონი** იწყება 20 ენკენ. ,,ორი გმირი''-თ.

✦ **ქუთაისის თეატრის** მახლობელი რეპერტუარი: ენკენისთვეს 18—,,ლალატი'', 20—,,მამა'', 21—,,დონ-კარლოსი'', 26—,,მთის ზღაპარი'', 27—,,დღენი—ჩვენი ცხოვრებისა'', 28—,,ყაჩაღები''.

✦ **საგურთალოს სცენის მოყვარეთა** წრემ გადასწყვიტა წარმოდგენების მართვა დაიწყოს. წრის გამგეობას დავალებული აქვს საჭირო თანხა იშოვნოს.

✦ **სახაზინო თეატრში** მდგომარე სეზონში საოპერო დასი იმუშავებს ევლახიშვილის თაოსნობით. მსახიობნი უკვე შეიკრიბნენ სამეცადინოდ, სეზონი დაიწყება 16 ენკენ. წარმოდგენები დაიწყება სად. $7^1/_2$ ს. დათავდება –11 ს.

✦ **სომხური დრამ. დასი** სეზონს იწყებს 3 ოქტ. არტისტ. თეატრში სევუმიანის რეჟისორობით,

✦ **ბერძენთა დრამ. წრე** სახალხო სახლში სეზონს ამ თვის ბოლოს დაიწყებს. პირველი წარმოდგენის შემოსავალი ომში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტს გადაეცემა,

✦ **გორში წ.კ.ს. სასარგებლოდ** დღეს გ. თაზიშვილის მეთაურობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენა გაიმართება. წარმოსადგენად განზრახულია ტ. რამიშვილის „დედინაცვალი“, აგრედვე წარმოადგენენ „მამის მკვლელს“.

✦ **სართიჭალაში მღ. დავითაშვილის** თაოსნობით განუზრახავთ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსება. სამკითხველოს სასარგებლოდ გასულ თვეში ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენა გაიმართა, შემოსავალიც კარგი იყო, მაგრამ... ფული კი არა სჩანს. ამბობენ, ვითომც ერთ სცენის მოყვარეს—მონაწილეთაგანს შემოჰფლანგოდეს.

✦ **ალოიზი ბოლ. შიხინოვი**, დრამ. საზ. გამგეობის წევრ-ხაზინადრად ნამყოფი, რომელიც გასულ ზაფხულს საზღვარ გარედ იყო, უკვე რუსეთს დაბრუნდა, გერმანელების მიერ დიდის გაწვალების შემდეგ.

✦ **ნოქართა კლუბში ი. ჟივიძის** თაოსნობით 5 ენკენისთვეს გამართული მხატვრული სალამო-მეჯლისი საგულისხმო გამოდგა. სხვათა შორის, მონაწილეობდენ ვ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ვანო სარაჯიშვილი, ირეთელი, ნ. გოცირიძე, ი. ივანიძე, მ. კავსაძის გუნდი და სხვ. დიდის აღტაცებით მიეგება ხალხი ვანო სარაჯიშვილს, რომელმაც ოთხჯერ იმღერა (ორჯერ ქართულად'. კარგი გლეხები იყვნენ ი. ჟივიძე და ნ. ჩაგუნავა. შინაარსიანი ლექსი წაიკითხა ი. ივანიძემ, იუმორისტული მოთხრობა—პ. ირეთელმა, დღიურ ქირ-ვარამის შესახები სცენები რ. ჯიბლაძემა (გურული) და ი. რევაზოვმა (თათრული). ნ. გოცირიძემა და შ. საფაროვმა—კუპლეტები იმღერეს. მ. კავსაძის გუნდისა განსაკუთრებით „რად მინდა ცოლი ლამაზი“ და „თებრონე მიდის წყალზედა“ მოეწონათ. დიდი აღტაცება გამოიწვია ერთმა ახალგაზრდამ – ი. დაროშვილმა ი. გრიშაშვილის კილოთი მისივე ლექსთა წაკითხვით. ხელოვნურად დაუკრა თარზე მ. სალირაშვილმა. სალამოს ნაკლად ის ჩაითვლება, რომ ორიოდე მომღერალმა თავისი შეუფერებელი ხმით შეჰლახა კეთილმსმენელობა, პროგრამაში ზოგიერთი აღნიშნულნი არ გამოცხადდენ და სალამოც გვიან გათავდა.

✦ **რუსული ოპერეტტა** სახელგანთქმულ მსახიობქალის ფ. კ. ვიშინსკის თაოსნობით და მოსკოვის თეატრის „ბუფის“ მსახიობ-რეჟისორის ი. ლ. ბოლდირევის რეჟისორობით ქართულ თეატრში დაიწყება შაბათს, 20 ენკენისთვეს კომიკურ ოპერით ,,ბოკაჩიო''. დასში 28 მომღერალია, ბალეტში 4 წყვილი მოცეკვავე გამოჩენილი ბალეტ. მ. ნოვაკოვსკის ხელმძღვანელობით. კაპელმეისტრებად მიწვეული არიან ი. როტგოლცი და ვ. სიროტა. უმახლობელესი რეპერტუარი: ,,საწყალი იონათანე'', ,,მხიარული ქვრივი'', ,,თოჯინა'', ,,მათეო—ქაბუკი თავადი''. წარმოდგენები იქნება: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევ-შაბათობით და კვირა-უქმით-კი დილაობით.

✦ **„ახალი კლუბის“ საყურადღებოდ** გ. დიმ. მელაშვილი გვწერს: „გასულ კვირას კ. ფოცხვერაშვილის მონაწილეობით გამართულ კონცერტზე მივედი ბილეთის სასყიდლად, მაგრამ ვერ ვიყიდე: თურმე კლუბის არა წევრთათვის საჭირო იყო კლუბში შესასვლელად ცალკე ფასის გადახდა, თუმცა „კასირსაც“ ვუხსნიდი, რომ ჩემთვის კლუბი საჭირო არ იყო, მე მხოლოდ კონცერტზე მსურდა დასწრება, მაგრამ ამაოდ... ამნაირად, მეც და ბევრიც სხვა გარედ დავრჩით და კონცერტი ვერ მოვისმინეთ. კარგი იქნება კლუბის მამასახლისნი ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდენ და კლუბის არა წევრთა საყურადღებოდ აფიშებში ადრევე აღნიშნავდენ ხოლმე ასეთ კონცერტ-გართობებზე დასწრების წესსა, რათა უკანასკნელთა გულისწყრომას ადგილი არა ჰქონდეს,როგორც ხსენებულ კონცერტზე.“

✦ **სილოვან ხუნდაძის** ლექსები უკვე დაიბეჭდა, მაგრამ ცენზურის მიზეზით მისი გაყიდვა ჯერ შეჩერებულია.

### რ უ ს თ ა  შ ო რ ი ს

✦ **ახალი განკარგულებით რუსეთში** წარმოდგენები უსათუოდ 11 ს. უნდა გათავდეს, მხოლოდ. ექვს თეატრს მიეცა ნება 12 ს. დაამთავრონ.

✦ **ზოგიერთ რუს მსახიობთა** თაოსნობა-ხარჯით ომში დაჭრილთათვის საავადმყოფოები დაფუძნდა მოსკოვსა და ზოგ სხვა ქალაქში.

✦ **კ. რ. „მეუფე ურიათას“** წარმოდგენის ნებას დართვენ ამ მოკლე ხანში იმ პირობით, რომ მთელი შემოსავალი დაჭრილ მეომართა და მათ ოჯახთა სასარგებლოდ გადიდოს.

✦ **თ. შალიაპინი** საზღვარ გარედიდან პეტროგრადს დაბრუნდა.

✦ **სცენაზე როლის შესრულების დროს** მსახიობს ბლიუმენტალ-ტამარინს ხალხიდან ვიღაცამ დაუძახა: „ხმა მაღლაო!“ მსახიობმა გადასძახა: „ყური გამოიჩიჩქნეო“. ამის გამო ერთი გაზეთი სამართლიანად შენიშნავს—ხელოვნების ჭეშმარიტ ქურუმს არ ჰფერობს, სცენიდან მაყურებელ-მსმენელს გაეპასუხოსო.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**




(წ.—27)

ექ. ვახტანგ ღამბაშიძის

# სანატორიუმი

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე**

დაწვრილებით პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ღამბაშიძე**

ვარდისუბნის ქუჩ. № 9. (წ.)

---

## ექიმები:

**ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლი ნაწილის მკურნალი)

შინაგან ავადმყოფობათა.

დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.

წყნეთის ქ., № 19.

**კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს

დილით 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.

გოლოვინის პრ., № 12.

**ვ. დ. ღამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.

ვარდის უბნის ქ. № 9.

**ნ. ე. თიკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)

შინაგან სნეულებათა

დილით 12—1 ს., საღამოთი 5—5 ს.

კიროჩნი ქ. № 18

**შ. ა. მიქელაძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობათა.

საღამოთი 6—7 ს.

მიხეილის პროსპ. № 117. ტელეფ. 8—16.

**გ ფ. ნათიშვილი**

კანისა, ვენერიული და სიფილისისა.

დილით $11^1/_2$—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

მონუმენტის ქუჩ. № 5. ტელეფ. 4—87.

---

იოსებ იმედაშვილის გამოცემა № 51

**სინათლე** ზღაპარი-ფეერია 3 მ. და 7 ს. **ი. გედევანიშვილისა**, ავტორის მოკლე ბიოგრაფიით, სურათებით და ექვსი ნახატით. **ფ. 30 კ.** ათობლივ და ასობლივ ნაღდზე მყიდველთ თითო წიგნი დაეთმობა 22 კ. ფასდადებითაც გაიგზავნება.

მისამართი: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба"—Іосифу Имедашвили.

(10—7)

**ახალი წიგნი**

ლექსები, სცენები და მოთხრობები

**ა. მ. ახნაზაროვისა**

ავტორის პორტრეტით, კრიტიკული წერილით და სხვა სურათებით. ფ. **60** კ. საწყობი ავტორთან—საპერის ქ., № 5, საკ. სახლი. წიგნით მოვაჭრეებს ჩვეულებრივი % დაეთმობა.

(5—7)

---

**იმერეთი** ყოველდღიური სალიტ.-სალ. გაზეთი

ახალ რედაქციით და თანამშრომლებით

**გაზეთის ფასი**: წლით—7 მ., ნახევარ წლით—4 მ., ერთი თვით—4 აბაზი, ცალკე ნომერი 5 კაპ.

საზღვარ გარეთ წლიურად 15 მ., ნახევარ წლით—8 მ., სოფლის მასწავლებლებს და უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს წლიურად 6 მ. ფასის გადახდა ნაწილნაწილადაც შეიძლება.

**მისამართი**: Кутаисъ, ред. газ. „Имерети".

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჟღენტი**

**შრომა** სალიტ.-საპოლ. და ეკონომიური გაზეთი გამოდის ორ შაბათობით.

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი**: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ., საზღვარ გარეთ ორჯერ მეტი. ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред. еженед. груз. газеты „Шрома"

„სორაპანი"-ს გამოცემა

დაიბეჭდა და გამოვიდა **ქართველი მწერლები**

შედგენილი ი. გომელაურის მიერ, ნაწ. I

ფასი 80 კ.

# ხარფუხის საზოგადო კლუბი

29 მაისიდან გადავიდა საზაფხულო სადგომში, მიხაილოვის პროსპექტზე, სინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდზე, № 131, ინჟინერ ბარტის ბაღში. ტელ. 11—79

| | |
|---|---|
| დღეს, კვირას 14 სექტემბერს | სინემატოგრაფი, მუსიკა' ცეკვა. |
| ორშაბათს 15 სექტემბერს | სინემატოგრაფი. |
| სამშაბათს 16 სექტემბერს | სინემატოგრაფი, მუსიკა. |
| ოთხშაბათს 17 სექტემბერს | საზანდარი. |
| ხუთშაბათს 18 სექტემბერს | საბავშვო საღამო; სინემატოგრაფი; მუსიკა. |
| პარასკევს 19 სექტემბერს | საზანდარი; ცეკვა. |
| შაბათს 20 სექტემბერს | სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა. |
| კვირას 21 სექტემბერს | სინემატოგრაფი; მუსიკა; ცეკვა. |

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან მამაკაცები—25 კ., ქალები—10 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

კლუბი ვრცელი და ყოველმხრივ მოწყობილია. ბაღი შეიძლება გაიცეს სხვადასხვა საქველმოქმედო მიზნით გამართულ სეირნობათათვის.

კლუბში გაიმართება ხოლმე **ლექციები, კონცერტები, წარმოდგენები, სამუსიკო, სალიტერატურო** და **ვოკალური საღამოები** და აგრეთვე **სახალხო სეირნობანი.**

---

## ქართული თეატრი

სეზონის დასაწყებად 21 ენკენ. 1914 წ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნ.

### მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი

პიესა 4 ი. მ. გედევანიშვილისა

რეჟისორი **ა. წუწუნავა**

## ოპერეტა

**ქართულ თეატრში** შაბათს, 20 ენკენისთვეს **ფ. კ. ვიშინსკის** თაოსნობით წარმოდგენილი იქნება

### ბ ო კ ა ჩ ი ო

რეჟისორი **ბოლდირევი**

## სახაზინო თეატრი

**ოპერა ევლახიშვილის თაოსნობით**

სამშაბათს, 16 ენკენისთვეს სეზონის დასაწყებად წარმოდგენილი იქნება

### „ЖИЗНЬ ЗА ЦАРЯ“

## სახალხო სახლი

შაბათს, 20 ენკენ. სეზონის დასაწყებად წარმოდგენილი იქნ.

### მ ე ფ ე

იუშკევიჩისა

რეჟისორი **კ. შათირიშვილი**

**ვინაიდან ომიანობამ ხელი შეგვიშალა, ამიტომ**

## ჯუჯუ ჯორჯიკიას

თხზულებათ პირველ ტომზე ხელის მოწერას ვაგრძელებთ ენკენისთვის ბოლო რიცხვებამდი. წიგნი ხელის მოწერით ღირს **ათი შაური** და ხელის მოწერის შესახებ მოლაპარაკება და ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ქუთაისი „შრომის“ რედაქციაში გიგლა მებუკეს. გამომცემლობა „ნარგიზი“.

(5—1)

---

სტამბა **„სორაპანი“**

Типографія „Сорапань“